1903/2. №2210

# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 96. ხუთშაბათი, 27 თებერვალი 1903 წ. გაზეთის № 2081.

### რედაქციისაგან

**სამწუხაროდ, ემილ-ზოლას რომანის „სიმართლის“ გაგრძელება ვეღარ დაიბეჭდება, თუმცა თარგმანი დამზადებულია.**

# სურათები

(შემდეგი)

2270

## II

ნიკალაი ნიკალაიჩს ის იყო გამოელვიძა ნასადილევს; ერთი ორჯელ გაიჭიმ-გამოიჭიმა კრაოტზე, სახეზე ხელები ჩამოისო, მეორე გვერდზე გადმოტრიალდა და სტოლზე წერილს გადასწვდა.

„ვნახოთ, ვნახოთ, რას იწერება ბატონი დედა-ჩემი“, მოჰყვა თავისთვის ნიკალაი ნიკალაიჩი, რამდენჯერმე გადაატრიალ-გადმოატრიალა ხელში წერილი, ბოლოს კონვერტს თავი წაუხია, წერილი ამოიღო და მოჰყვა კითხვას. „მე კი არ ვიცოდი“—წაიბუტბუტა ცხვირში, კითხვა შესწყვიტა და თვალები ჭერში მიაჩერა.— გამიჭირა სწორედ საქმე „შვილო, საბანი არ გადიხადო, არ შეიცივნო!“ „შვილო, დროა ცოლი შეირთო!“ ეშმაკმა იცის, რა არის! მარტო დედა კაცს თუ შეუძლიან ასეთ სისულელის როშვა! ის კი არ იცის ჩემზე როგორა მოქმედებს! „ცოლი შეირთე!“ გაიმეორა კიდევ დედის მონაწერი და თან უნებლიედ გაიღიმა: „თითქო მე უარზე ვიყო ცოლის შერთვისა! „შეირთე“, მე ვიცი, მოუმზადებიათ ჩემთვის ათასობით დ მეც ვინაზები“.



ხევსური ციხის კედელზე.—ნახშირით დახატული გოგიაშვილის მიერ.

ნიკალაი ნიკალაიჩი ცოტას ჩაფიქრდა. „რატომ .. რომ ჰქონდეს ქალს ერთი რამდენიმე ათასი, ან დიდი კავშირი, კიდევ შეიძლება, თორემ მოდი და შენ შეირთე ნინასთანა ტიტველა ქალი! რაში გამომადგება იმის გიმნაზიის ძოწმობა. ან იმისი სილამაზე, თუ ისიც ჩემებრ ლატაკი იქნება? როგორ უნდა წავიდე წინა? თუ კი რიგიან და პატიოსან საზოგადოებაში თავს ვერ გამოჰყოფ, ვერ დაიჭერ ადგილს გავლენიან წრეში, რა საჭირო ცოლის შერთვა!.. სხვა არა იყოს რა, სულ მორჩილებაში ხომ არ უნდა ამოჰხდეს კაცს სული! არა, თუ შეირთოს კაცმა, ისევ მდიდარი!“ დააბოლოვა ნიკალაი ნიკალაიჩმა, წერილი სახეზე მიიფარა, თვალები მოხუჭა და ოცნებას მიეცა.

თვალწინ წარმოუდგა მეტის-მეტად შეძლებული და ამასთან ლამაზი ცოლი, მაღალი საზოგადოება, მდიდარი წვეულება... აი, წარჩინებულნი და თვით გენერალიც იმასთან არიან წვეულებაზედ. ყველანი მოწიწებით ექცევიან ნიკალაი ნიკალაიჩს, სამსახურში ყველას იმისი ეშინიან. აგერ გენერალი ერთ უფროსს მოხელეს სულ უბრალოზედ ითხოვს, რომ ადგილი დაუცალოს ნიკალაი ნიკალაიჩს. ოცნება ამასაც არა კმაყოფილდება და უფრო შორს მიდის. აი, ნიკალაი ნიკალაიჩმა ერთის თვალის დახამხამებაზედ აირბინა კიდეც უფროსთა იერარქიის კიბე. კიდევ ერთი საფეხური და გენერალს გვერდში ამოუდგება... მაგრამ ცუდად მოქმედებს იმის ოცნებაზე გენერლის სურათი: თითქო შეურყეველ კლდეს თავი დააჯახაო, ნიკალაი ნიკალაიჩი უცბად შეინძრა, ოცნება შესწყდა, მწარე ღიმილმა გაურბინა ტუჩებზე, ერთი მაგრა ამოიქშინა და წერილი ლოგინზე გადმოფრიალდა.

„ეჰ, ოცნებაა და სხვა არაფერი!“ ამოიოხრა ნიკალაი ნიკალაიჩმა, ზანტად დასწვდა წერილს, ლამპრის შუქზედ თავი გადიწია და ხელ-მეორედ კითხვას შეუდგა. მაგრამ კითხვა ველარ ეხერხებოდა: შავმა ფიქრებმა შეიპყრო ნიკალაი ნიკალაიჩი. თითქო ადგომა დააპირაო, ლოგინზე წამოჯდა და, გაშეშებულს, თვალები სივრცეში შერჩა. ცოცხალ სურათად წარმოუდგა თავისი მრავალწლოვანი, აუტანელი და ერთგული შრომა სამსახურში, დაჯილდოვებული დღეს მეოთხე ჩინით, უფროსთა და სხვათა ყურადღებით. ეს სურათი თავ-ბრუს ასხამდა ნიკალაი ნიკალაიჩს. მაგრამ რა! აი რამდენმა მდიდარმა და ლამაზმა საცოლემ ჩაუარა გვერდს ამ დიად სურათს ისე, რომ ერთიც არ შეჰხედა ზედა. ნიკალაი ნიკალაიჩს გული მოსდიოდა; იმის ჩავარდნილ ლოყებზე გადაკრული ხმელი კანი თან-დათან იკეცებოდა და პატარა სახე უსიამოვნოდ ეღრიჯებოდა.

„ეჰ, ჯანდაბას იმათი თავი და ტანი!“ წამოიძახა თავისთვის ნიკალაი ნიკალაიჩმა და ტუჩებზე სამშვიდო ღიმილმა გაურბინა. „განა იციან ამ დროში კაცის დაფასება?.. რასა



აკლდამასთან.—ქანდაკება ენჟალბერტისა

ვკარგამ, დაე, დავრჩე ასე!“ ჩაეცინა ნიკალაი ნიკალაიჩს და კრაოტზე გადაწვა. „დაე, მიმიღონ ყველგან საქრმოდ, ჰეც ვისარგებლებ სხვათა სულელობით და პირს არ დავალებ ბუზების საყლაპად. მე ვაჩვენებ სულელ ქალებს! ვნახოთ, ვინ დარჩება მოგებაში!“ დაიმშვიდა გული და მეორე გვერდზე გადატრიალდა. „რაც შეეხება სიბერეს, — ეს არაფერია“, სჯიდა თავისთვის ნიკალაი ნიკალაიჩი. „სამაგიეროდ, წარჩინება, დიდება—სიბერეს აღარ დაგიდევენ, პირიქით თვითონ შეგეხვეწებიან; შიგ ეყაროს რამე, თორემ სიბერეს ვინ დაეძებს ამ დროში. იმისთანა წამოგყვება, როგორც მოწყვეტილი ვარსკვლავი! ცოტა მაგალითია!.. მართლა და რა სისულელე იქნება, კაცმა დროებით არ ისარგებლოს, ამოდენა ოხერ ლამაზებს თავი დაანებოს, ერთს გადაეკიდოს და საკუთარის ხელით ბორკილი გაიყაროს. არა, ძმავ: ან სიმდიდრე ან შფოთიანი ცხოვრება!“ გადასწყვიტა ნიკალაი ნიკალაიჩმა, ერთი თავისუფლად ამოისუნთქა და ისევ წერილს მიუბრუნდა.

თითქმის ოცი წელიწადი იქნებოდა, რაც ნიკალაი ნიკალაიჩი სამსახურში იყო. თუმცა თვალსაჩინო ადგილი არ ეჭირა, მაგრამ არც თუ უკანასკნელ მოხელედ ითვლებოდა. თვეში ათ-თორმეტ თუმანს იღებდა და გაუჭირვებლად სცხოვრობდა. პირველში ცოტაოდენს შემწეობას აძლევდა სოფლად მცხოვრებ დედმამას. მამა მალე მოუკვდა და დარჩა დედა პაწია ქალიშვილით. ნიკალაი ნიკალაიჩი ერთიან სამსახურს მიეცა და განუსაზღვრელის შრომის მოყვარეობითა და ყურმოჭრილობით მალე უფროსების ყურადღება დაიმსახურა. ცხოვრებისათვის საჭირო თვისებებსაც მალე მიჰხვდა. კარგად იცოდა, მაგ., ვისთვის როგორ დაეკრა თავი, ვისთვის როგორი სიტყვა ეკადრებინა და სხვა ამისთანები.

სამაგიეროდ, თითქო სულის ყველა თვისებანი სამსახურს შეალიაო, დედისთვის აღარაფერი სიყვარული და პატივისცემა აღარ შერჩა. დედაზე თანდათან გული იყრიდა და ბოლოს იქამ-

დის მივიდა საქმე, რომ თითქმის სრულიად დაივიწყა.
რიბისაგან შეწუხებული დედა წერილს წერილზედ სწე
შემწეობასა სთხოვდა, მაგრამ ამაოდ. ერთხელ მოთმინ
გამოსული დედა ქალაქში ეწვია შვილს, რითაც მეტად გ
ნიკალაი ნიკალაიჩი. ძველ ჭუჭყიან ტანისამოსში გახ
დედა მეტად ითაკილა შვილმა, რამდენიმე მანეთი მ
და ორ-სამ დღეზედ თვალცრემლიანი მოხუცი უკანვ
ტუმრა. მას აქეთ დედა წელიწადში ერთხელ თუ გაჰბ
შვილთან წერილის მიწერას, ისიც დიდის მოწიწებითა დ
ნა-დარიგებით, რომ ნიკალაი ნიკალაიჩი თავს გაჰფრთ
ბოდა, არ გაციებულიყო და ავად არ გამხდარიყო. დღ
როგორც იყო, გაებედნა შვილისთვის შემწეობის თხ
რადგან, როგორც თითონ იწერებოდა, კაი სასიძო ამო
და და ეშინოდა ხელიდან არ გაეშო ქალიშვილის ბედ-
მათი.

ნიკალაი ნიკალაიჩმა, როგორც იყო, წერილის
გაათავა. გამხმარი ტუჩები წინ წამოსწია და ჩაცვივნული
ყები ოდნავ გაიბერა. სახე ნაოჭებით აევსო და გულმო
წერილი სტოლზედ გადისროლა.

„დიდი ხანია, აღარა გითხოვნია რა!“ დაიწყო
ლაი ნიკალაიჩმა. „მაგრა ჩასჭიდე ხელი, ბედი ხელ
არ წაგივიდეს! არა და, ამისთანა ოხრებიც რომ უფუ
ცოლს აღარ ირთავენ! ჰა, ჰა, ჰა!—გადიხარხარა მადიან
„კაი პატიოსანი კაცია!“ მაშ, მაშ, პატიოსანი, აღარსად
ტევა, ვითომ სტატსკი სოვეტნიკი ყოფილა, მამა უცხონ
ერთი მშიერი დიაკვანი კი გდებულა! „ძალიან უყვართ
მანეთი!.. ჰა, ჰა, ჰა“. ნიკალაი ნიკალაიჩს ვერ წარმოედ
რომ იმისთანა ლატაკებსაც შეეძლოთ სიყვარული, როგო
იყვნენ დიაკვანი და იმისი და. „უყვარს და შეირთოს,
უშლის!“—დააბოლოვა ცოტა ფიქრის შემდეგ და კრაო
გასწორდა.

„არა და, აქ არ იცი, ოციდან ოცამდის ბოლო როგ
მიაბა ბოლოს, ის კიდევ იქიდან ფულს თხოულობს.
ვიცოდე, რა ეშმაკად უნდათ ფული! მე ვიცი, შენი „პა
სანი“ სიძე ბალებსა და საღამოებს გაჰმართავს და იმის
დასჭირდება. Ну васъ къ чорту! წინადაც ოხერი ვიყა
თავშიამც ქვა გიხლიათ, რაც გინდათ, ისა ჰქენით!“ გადასწყ
ნიკალაი ნიკალაიჩმა, კრაოტიდან წამოიწია კედელზე
საათის გასასინჯად და წაიდუდუნა: „მალე ექვსი შესრულ
ბა, დროა მოვემზადო ზახარი ზახარიჩთან.“ მაგრამ ერთბ
წამოდგომა დაეზარა და ცოტას კიდევ წამოწვა. ბოლოს
გაიზმორა, ოდნავ დაამთქნარა, ზლაზნით წამოდგა კრაო
დან, ძველი ტუჟურკა გადაიცო და პირის დასაბანად გ
გარედ.

ნიკალაი ნიკალაიჩი იყო შუა ხნის კაცი, სუსტი დ
ღალი. კოხტად და სუფთად უყვარდა ჩაცმა-დახურვა და ს
ლობდა ამაყად დაეჭირა თავი. საშინელი ფორმალისტ
ზრდილობიანი იყო ქცევაში, გეგონებოდათ, მზად არის
მალამოდ დაედოსო. მაგრამ საქმით კი თითს არ გაანძრ
თუ რაიმე პირადი ინტერესი არა ჰქონდა. სულ ერთ
გულჩახურული, სწორედ საიდუმლოების კიდობანი იყო.
ზე რომ დანა მიგეტანათ, მაინც ამ კიდობნის კარებს არ
ღებდათ. უფროსების ცუდად ხსენება არამც თუ თავის
სხვისაც არ უყვარდა, თუმცა დიდის მოთმინებით მოგი
დათ ამასაც, როგორც ზრდილობის პრინციპი მოითხო
უნდა გენახათ მაშინ, როგორ კურდღელივით ყურები ც
ტად ეჭირა და თაგვივით თვალებს აქეთ-იქით ათამაშე
თითქო ყოველ კუთხიდან მოელის უფროსის გამოცხადება
მაგრამ თუ ცოტა ქეიფიანად იყო, სრულებით ველარ იც
დით: მოჰყვებოდა ლიბერალიზმის ქება-დიდებას, გადავიდ
ცხოვრების არარაობაზე და ისეთის კილოთი ალაპარაკდებო
გეგონებოდათ, აი ეს არის ეხლავე თავს მოიკლავსო.

ნიკალაი ნიკალაიჩის ბინა წარმოადგენდა პატარას, მაგ-
რამ სუფთად და კოხტად მორთულს ოთახს. ფანჯრებს ამშვე-
ნებდა სურათებიანი ფარდები. თუჯის კრაოტი პრიალა თითბ-
რის გვერდებით და ზედ სუფთა ლოგინით, კედელზე ხავერდ

ხალიჩა და ძირს ფეხის საფენი—ყველა ეს სასიამოვნო სურათს წარმოადგენდა. ერთ კუთხიდან კეკლუცად გამოიყურებოდა სარკესებრ სუფთა გარდერობი. ყვავილები და სხვა წვრილმანი არა ნაკლების სიამოვნებით იპყრობდა თქვენს ყურადღებას.

სულ ორი თვე არ იქნებოდა, რაც ნიკალაი ნიკალაიჩი დაბინავდა ამ ოთახში „სულყველაფერზედ მზად“ და, მაშასადამე, ოთახის მოწყობილება შეადგენდა სახლის პატრონის კუთვნილებას.

ნიკალაი ნიკალაიჩი, პირსახოცით მხარზედ, კედლის პატარა სარკის წინ იდგა და დიდის სიფრთხილით იგლეჯდა თმაში აქა-იქ შერეულ თეთრებს, როდესაც სახლის პატრონის ოთახიდან ნაცნობი ხმა მოესმა. „ის არის, ის — ნადია!“ წამოსცდა ნიკალაი ნიკალაიჩს, ტანში ოდნავ აკანკალდა, მიიპარა შუა კარებთან, ნელა გადასწია გასაღების შესაყოფიდან თითბრის დასაფარი და ცალის თვალით მოჰყვა ჭყეტას. სახლის პატრონის თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლის ქალი შვილი, გიმნაზიის მოსწავლე, ნადია კრაოტზედ წამოწოლილიყო, თავი ნიდაყვზედ მიედო, თმები დაუდევრად წელზედ გადაეყარა, გადაშლილ წიგნში აბრეშუმის მოქარგული „სახსოვარი“ ჩაედო და, გაშტერებული, ზედ დაჰყურებდა. ეტყობოდა, ნადიას ფიქრები სხვაგან იყო.

„ოჰო, ჰო, ჰო!“ ოცნებობდა ნიკალაი ნიკალაიჩი და ჟინისაგან ტანში იმტვრეოდა. „აბა თუ გაინძრეს! ქანდაკებაა სწორედ, ქანდაკება!“ ჰფიქრობდა და სტკბებოდა ცოცხალის სურათით. სურათი შეინძრა: თავი მაღლა ასწია, თმები გაისწორა, აწითლებულ ლოყებზედ ხელები მიიფარა, ოდნავ ამოიოხრა და წიგნზედ დაემხო. ამ დროს ოთახის კარები ვიღამაც შეანძრია. ნიკალაი ნიკოლაიჩი შეჰკრთა და კარებს ფეხის თითებით მოშორდა. „რა გოგოა, რა გოგო!“ ოცნებობდა და თან სარკის წინ პერანგში ზაპონკებს იკეთებდა. „აჰ, რა კარგია! ისე ჩაგადნება პირში, როგორც მყინვარი შაქარი... მაგრამ რა! დახე, თუ იმ მაწანწალაზე არ გამცვალოს! რა გასაკვირველია, ქალი არ არის? ქალი და ინდოური ხომ ერთია: ორივეს როგორც ხორცი აქვთ გემრიელი, ისე თავი აბიათ ცარიელი! ერთი კაცმა იკითხოს, რა ნახა იმ მაწანწალაში, იმ მშიერ სტუდენტში, რომ გაცნობა და გადარევა ერთი იყო? ნეტა კაცს მაინც ჰგავდეს ის მასხარა! ერთი რაღაც ჭუჭყიანი, ბინძური, გაუთლელი... მაგრამ, როგორც ეტყობა, იღბალი აქვს... დამაცადე, შე მასხარავ, შენა, ჯერ ერთი გავიგო, რა წიგნებს უზიდავ ნადიას!“ იმუქრებოდა ნიკალაი ნიკალაიჩი და თან პირის ფარეშს განაგრძობდა.

ტყუილად არ მოსდიოდა გული ნიკალაი ნიკალაიჩს, რომელიც ამ ორ თვეში ისე კარგად დაუახლოვდა დიასახლისს, რომ ეს უკანასკნელი ერთ საუკეთესო ნაცნობად სთვლიდა და ხშირად თავისას იპატიჟებდა. ნადია ჰხედავდა დედის ამ გვარ განწყობილებას და თითონაც თავაზიანად ეპყრობოდა ნიკალაი ნიკალაიჩს. ნიკალაი ნიკალაიჩი კი ამ კეთილ განწყობილებას სულ სხვანაირად ჰხსნიდა. ერთის სიტყვით, იმის აზრით, საქმე საქმეზე იყო მიყვანილი, და,—დახეთ ბედის სიმუხთლეს!—სახლის პატრონისას გაჩნდა ახალგაზრდა სტუდენტი, ნადია გაიტაცა და ნიკალაი ნიკალაიჩი უყურადღებოდ დარჩა.

„დამაცადე!—ემუქრებოდა აგრეთვე ნიდიას:—ისე მოგაშორო ეგ ვაჟბატონი, ეგ, ეგ ბუნტოვჩიკი, რომ თვითონაც ვერა გაიგოს რა... მერე შენთვისაც მოვიცლი... Дура, ты, дура! თავს სისულელეებით გილაყებს, შენ კი კისერზე ეკიდები... არა, უნდა ფრთხილად ვიყო!“ გულმოსული ბუტბუტებდა თავისთვის და გარდერობიდან ახალ ფორმის ტანისამოსს ალაგებდა.

—ნიკალაი ნიკალაიჩ, можно?—მოისმა მოულოდნელად კარებიდან ნაცნობის ხმა, თან კარებიც გაიღო და ივან გრიგორიჩმა თავი შემოჰყო.

—ნიკალაი ნიკალაიჩს!—მიესალმა ივან გრიგორიჩი და ფრთხილად წინ წამოვიდა.

—აა, თქვენა ხართ! საიდან, როგორ? დაბძანდით!—მისთავაზა ნიკალაი ნიკალაიჩმა და სტოლთან სკამი მიუწია, თანაც სტუმარი ერთი აათვალიერ-ჩაათვალიერა, ტალახი ხომ არსად აცხია, და ამ მხრივ გული დაიმშვიდა.

ივან გრიგორიჩი ნიკალაი ნიკალაიჩის ერთი კარგი მეგობარი იყო, მაგრამ ძალიან იშვიათად დაიარებოდა იმისას, რადგან, როგორც სისუფთავისა და, საზოგადოდ, ყოველ წესრიგის დიდი მტერი, კარგად ვერ ეწყობოდა ნიკალაი ნიკალაიჩის კოპწიად მორთულ ოთახს. ივან გრიგორიჩი, თუმცა უკვე ცოლის პატრონი, მაგრამ ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა და დაუდეგებელი ყმაწვილი კაცი იყო. არც ერთი ქეიფი არ გაიმართებოდა იმის ნაცნობების მიერ, რომ არ შეეტყო და იმ წამს იქ არ გაჩენილიყო. გამოცხადების უმალ ერთი მაგრა შემოსძახებდა მშვენიერის ბარიტონით, პალტოს ჯიბიდან ქათმის ან ინდოურის გამხმარ ბარკლებს, დამჭკნარ მწვანილს და პურის გამხმარ ნატეხებს ამოალაგებდა და სუფრაზე გააწყობდა: „არაფერი დამაყვედროთ, ყმაწვილებო, მე ჩემი „ზაპასით“ მოვდივარო“—გაეხუმრებოდა იქ მყოფთ, ერთს ტყუილად გადიხარხარებდა, კიდევ შემოსძახებდა და ფოთიანად შეუტევდა სუფრას. ივან გრიგორიჩი და ნიკალაი ნიკალაიჩი სხვა-და-სხვა ადგილებზე მსახურებდნენ.

—საით ჰყოფილხართ, ივან გრიგორიჩ? ახალს რას იტყვით?—ეკითხებოდა ნიკალაი ნიკალაიჩი და თან სტოლზე კოლოფით პაპიროზებს და საფერფლეს ახლო უწევდა:—გთხოვთ, ივან გრიგორიჩ! По особому заказу...

—მე, ისე...—მიუგო ივან გრიგორიჩმა:—აქეთ ვიყავი და ვიფიქრე, მოდი ერთი შევივლი და მერე ერთად წავალთ ზახარი ზახარიჩთან მეთქი. ხომ წამოხვალთ თქვენცა?—დაეკითხა ივან გრიგორიჩი, რაზედაც ნიკალაი ნიკალაიჩმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ივან გრიგორიჩმა ფორმის ქუდი სტოლ-



ბანაობის წინ.—ბრინჯაოს ქანდაკება ჭოლენისა.

ზე დასდო, რასაც ნიკალაი ნიკალაიჩმა ალმაცერად შეჰხედა და უსიამოვნოდ წარბები აიწია. შემდეგ [illegible]

ხელსახოცით მოიწმინდა ივან გრიგორიიჩმა, ერთი ოდნავ ამოამთქნარა და სკამზედ გასწორდა.

— რაც შეეხება ახალსა,—განაგრძო ივ. გრიგორიიჩმა,—თუ ეს ახლად ჩაითვლება, უნდა მოგახსენოდ, ნიკალაი ნიკალაიჩ, რომ წუხანდელს აქეთ თავი ისე მტკივა, ასე მგონია, ჩაქუჩს შუბლში მცემენო. სპირტ ნაკრავი თუ იყო ის ოხერი, თორემ მე ღვინოში თავის ტკივილი არ ვიცი... ოჰ, ოჰ, ოჰ! —სჩიოდა ივან გრიგორიიჩი და თან საფერთქლებზედ ხელებს ისვამდა. ივან გრიგორიიჩი, თითქოს ნემსებზედ იჯდაო, სკამზედ ვერ ისვენებდა, სულ კრაოტისკენ თვალები რჩებოდა და გუნებაში ილანძღებოდა: „წადი შენი კოხტა - პრუწიობაც, პატარას კი ვერ წამოწვება კაცი ამ ოხრისას და რა გამოვიდა!“

— ეგ იმიტომ, ივან გრიგორიჩ, რომ თქვენ მეტის-მეტად სუსტ ნერვებისა და ამასთან მგრძნობიარე ტემპერამენტის პატრონი ბძანდებით!—სიცილით მიუგო ნიკალაი ნიკალაიჩმა და ფორმის ახალი და სუფთა შავი სერთუკი ტანზედ გადიცო, თან გულში გაიფიქრა: „შე ღორო, შენა, შენ რომ ღვინოში თავი ჩაიხრჩო, თავი აგტკივდება, მარა მოგივა!“

— დამცინეთ, დამცინეთ!—ღიმილით მიუგო ივან გრიგორიიჩმა და პაპიროზს მოუკიდა:—საქმე ის კი არ არის, რომ ჩააცივდებით კაცს: დალიე, დალიე, და თქვენკი ჰიქებს აჰერებთ. თუ იყვეს, ყველაფერი ძმურად, თუ არა და რა გამოვიდა! თქვენ ფხიზლები, მე კი ჰა!—შეიშმუშნა ტანში ივან გრიგორიიჩი და ოდნავ ხელში ჩაამთქნარა.—მახლას, ხათრიანა ვარ მუდამ დაღუპული! კარგს არა შვრებით, თორემ თქვენ იცით, დაე, მოჰკლას ხარი თივამ! არა გჯერათ, დღეს სამსხურში კინალამ სტოლზედ დამეძინა. ახლა სახლში რა დღე დამაყენეს და! ოი, ოი, ოი, მომდგნენ ცოლი და სიდედრი და...—ივან გრიგორიიჩმა აღარ დაათავა, მხოლოდ ერთი ხელი დაიქნია, სკამიდან წამოდგა და ოთახში ფრთხილად სიარული მოჰყვა.

ნიკალაი ნიკალაიჩი სარკის წინ იდგა და ულვაშებს ...რეხდა.

გ. მაქსიმ...

(შემდეგი იქნება)



— რას ამბობ, დედა-ჩემო, აბა წამოსასხამით ხომ არ შეხვალ დარბაზში ბალზე? მეორე ჩაიცვი...

— მაშ რისთვის ვიყიდე, თუ ხალხი არა ჰნახავს, თვალებს კი არ დავუბრმავებ?!..

უცხოელ გამოცემებიდან



ბალზე.— რას გარინდებულხართ? ვერ გვიცან, განა?

— არა, გიცნობ ვინცა ბრძანდებით და ვფიქრობ, თავიდან როგორ მოგიშოროთ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადა

უოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

სურათებიანის დამატებით წელიწადში ღირს—6 მანეთი.

1903 წლის ხელის-მომწერთ გაეგზავნება ახალი სურათი

შოთა რუსთაველისა

საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი

„მოამბე“

წელიწადში ღირს—10 მან. გაგზავნით 11 მან.

„ცნობის ფურცელი“ სურათებიანის დამატებით

„მოამბის“ ხელის-მომწერთ უფასოდ გაეგზავნება

... 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—